MES 0 22 0000287004

21/03/2022

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლოდაწესებულებებისავტორიზაციისსაბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პერტე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
ია გიგიბერია - შპს ქართული სასწავლებლის - თბილისის მასწავლებელი, ქიმიის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნინო ჟვანია- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
თამარ შენგელია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
თამარ რატიანიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
მზია ყანჩელი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
გვანცა მეტრეველი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს მეექვსე საავტორო სკოლა
ნინო რამიშვილი - სკოლის დამფუძნებელი, სკოლის ჰუმანიტარული მიმართულების ხელმძღვანელი;
თუთა ნარმანია - სკოლის დირექტორი;
თათია ზარქუა - სკოლის იურისტი.

შპს სადუნი
შორენა მერაბიშვილი - სკოლის დირექტორი;
თათია ზარქუა - სკოლის იურისტი.

შპს კავკასიის ბიზნესის სკოლა
რუსუდან გოგიბერიძე - სკოლის დირექტორი;
მელორ მშვიდობაძე - სკოლის მონიტორინგის სამსახურის უფროსი;
ნინო დოლიძე - სკოლის იურისტი;
ნელი ნასყიდაშვილი - სკოლის კონსულტანტი.

შპს ყოვლადწმიდა სამების სახელობის ქართული აკადემია
ნატო ზარნაძე - სკოლის წარმომადგენელი;
მაია გიგაური - სკოლის სასწავლო ნაწილის უფროსი;

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერ ტები):
შპს მეექვსე საავტორო სკოლა
ნოდარ ანგურიძე
ლელა ჯაში
შპს სადუნი
მიხეილ ტეფნაძე
გულნარა ხაბურზანია
შპს კავკასიის ბიზნესის სკოლა
დავით ლიპარტელიანი
იზაბელა იოსელიანი
შპს ყოვლადწმიდა სამების სახელობის ქართული აკადემია
მაგდა ბარამიძე
მარინე ჯანაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის

დებულების“ (შემდგომში - დებულება) 17-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა 2022 წლის 4 მარტს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 15:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 17-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის გამოქვეყნებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 20-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:
1. შპს მეექვსე საავტორო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს სადუნის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს კავკასიის ბიზნესის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს ყოვლადწმიდა სამების სახელობის ქართულ აკადემიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. შპს მეექვსე საავტორო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ნოდარ ანგურიძემ და ლელა ჯაშმა. ექსპერტ, ნოდარ ანგურიძის თქმით სკოლაში ხორციელდებოდა ხუთი საავტორო პროგრამა, რომლებსაც ახორციელებდნენ პროგრამის ავტორები. მან ისაუბრა იმ რჩევებზე, რაც სკოლას მიეცა. კერძოდ, გამოყო დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით გაკვეთილების

რაოდენობისა და ხანგრძლივობის შემცირების საკითხი. რაც ითვალისწინებდა დაწყებით საფეხურზე 15-20 წუთიან გაკვეთილებს, საბაზო საფეხურზე 20-25 წუთიან, ხოლო საშუალო საფეხურზე 30-35 წუთიან გაკვეთილებს. ექსპერტთა მეორე რჩევა ეხებოდა ექვსწლიან სტრატეგიულ გეგმას, რომელიც წინსწრებით ჰქონდა სკოლას დამტკიცებული. ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ აღნიშნა, რომ სკოლას უნდა გაეთვალისწინებინა აღნიშნული და დაემტკიცებინა 2021-2027 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა, ნაცვლად 2022-2027 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმისა.
ექსპერტმა, ლელა ჯაშმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ სკოლა მოსწავლეებს სთავაზობდა საინტერესო და მრავალფეროვან აქტივობებს, როგორც აკადემიური მიმართულებით, ასევე, სპორტული და შემეცნებითი მიმართულებებითაც. ექსპერტმა, ასევე, ისაუბრა სკოლის მაღალკვალიფიციურ პედაგოგთა შესახებ. ექსპერტთა თქმით, სკოლა სრულად აკმაყოფილებდა ავტორიზაციის სტანდარტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძე შეეხო გაკვეთილების ხანგრძლივობასთან დაკავშირებულ საკითხს და აღნიშნა, რომ სკოლას შეეძლო თავად განესაზღვრა საჭიროებებიდან გამომდინარე გაკვეთილების ხანგრძლივობა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა სკოლის წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
სკოლის დირექტორმა, თუთა ნარმანიამ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული თანამშრომლობისთვის.
დაწესებულების იურისტის განცხადებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 20 ივლისის N41 გადაწყვეტილებით სკოლას ავტორიზაცია მიენიჭა 2016 წლის 15 სექტემბრიდან 6 წლის ვადით. აღნიშნულის შესაბამისად, სკოლა შუამდგომლობდა საბჭოსთან, ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2022 წლის 15 სექტემბრიდან.
საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 700 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც. საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის შპს მეექვსე საავტოროსკოლის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაკმაყოფილებულია ავტორიზაციის სტანდარტები. შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მეექვსე საავტოროსკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 700 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-7 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს

მეექვსე საავტოროსკოლას (404405443) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 700 - ით. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2022 წლის 15 სექტემბერი.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა 15:40 საათზე დატოვა საბჭოს სხდომა.

2. შპს სადუნის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, მიხეილ ტეფნაძემ და გულნარა ხაბურზანიამ. ექსპერტმა, მიხეილ ტეფნაძემ განმარტა, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ხორციელდებოდა ეროვნული სასწავლო გეგმისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მან აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა სურვილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულიყო 700 მოსწავლით, რისი შესაძლებლობა და რესურსიც, ექსპერტის თქმით, სკოლას ჰქონდა.
ექსპერტმა, გულნარა ხაბურზანიამ დაამატა, რომ სკოლა მოსწავლეებს სთავაზობდა უცხო ენების მრავალფეროვან არჩევანს. მან, ასევე, აღნიშნა მასწავლებლების ურთიერთთანამშრომლობის მაღალი ხარისხი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, ნატო გაბოშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტებს, თუ ჰქონდა სკოლას გამიჯნული სკოლამდელი აღზრდისთვის გამოყოფილი სივრცე სკოლის შენობისგან. ექსპერტმა, მიხეილ ტეფნაძემ განაცხადა, რომ სკოლა აღნიშნულ საკითხს არეგულირებდა როგორც მარეგულირებელი აქტებით, ასევე, ვიზუალურადაც. მან აღნიშნა, რომ სკოლამდელი აღზრდისთვის გამოყოფილ ფართს არ ჰქონდა შემხებლობა სკოლის ფართთან.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტებს, რამდენად იყო მზად სკოლა 700 მოსწავლისთვის, ჰქონდა თუ არა სკოლას ამისთვის მატერიალური რესურსი და რამდენად შეესაბამებოდა სკოლის საკლასო ოთახები აღნიშნულ მოთხოვნას. რაზეც ექსპერტმა, მიხეილ ტეფნაძემ დააზუსტა, რომ ვიზუალური დათვალიერებისას ყურადღება გამახვილდა სკოლის საკლასო ოთახებსა და მატერიალურ რესურსებზე, რომლებიც იძლეოდა მოსწავლეთა რაოდენობის გაზრდის შესაძლებლობას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა სკოლის წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
სკოლის დირექტორმა, შორენა მერაბიშვილმა ხაზი გაუსვა ექსპერტების ურთიერთთანამშრომლობის კულტურას და მადლობა გადაუხადა ნაყოფიერი მუშაობისთვის.
დაწესებულების იურისტის განცხადებით, სკოლას ავტორიზაცია მიენიჭა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 09 აგვისტოს

N47 გადაწყვეტილებით 6 წლის ვადით. აღნიშნულის შესაბამისად, სკოლა შუამდგომლობდა საბჭოსთან, ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2022 წლის 09 აგვისტოდან.
საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 700 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც. საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის შპს სადუნის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაკმაყოფილებულია ავტორიზაციის სტანდარტები. შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სადუნის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 700 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-7 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს სადუნს (202063480) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 700 - ით. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2022 წლის 09 აგვისტო.

3. შპს კავკასიის ბიზნესის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, დავით ლიპარტელიანმა და იზაბელა იოსელიანმა. ექსპერტმა, დავით ლიპარტელიანმა განმარტა, რომ სკოლაში ვიზიტი განხორციელდა სრულად დისტანციურ ფორმატში, ვიზიტის დროს მწვავე პანდემიური მდგომარეობიდან გამომდინარე. მან ისაუბრა სკოლის ძლიერ მხარეზე და აღნიშნა, რომ სკოლაში ფუნქციონირებდა სამოქალაქო განათლების კლუბი, რომელიც წარმოადგენდა სკოლის სავიზიტო ბარათს. ექსპერტმა, დავით ლიპარტელიანმა ისაუბრა

ხარვეზებზე, რომლებიც სკოლაში ვიზიტის დროს გამოიკვეთა. სკოლას ჰყავდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები, რომელთათვისაც შემუშავებული იყო ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და შესაბამისად სკოლაში არსებობდა ინდივიდუალური სასწავლო ჯგუფი, თუმცა მას ერქვა მულტიდისციპლინური გუნდი. შესაბამისად, სკოლას მიეცა რეკომენდაცია აღნიშნულ ჯგუფს შეცვლოდა სახელი, რაც სკოლამ განახორციელა ვიზიტის დროს დირექტორის ბრძანების საშუალებით. მეორე რეკომენდაცია შეეხებოდა მასწავლებელთა კვალიფიკაციის საკითხს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰყავდა პრაქტიკოსი მასწავლებლები. მისი თქმით, სკოლას ჰქონდა კონკურსი გამოცხადებული, თუმცა ვერ მოხდა ახალი კადრების აყვანა და სკოლა იძულებული იყო ხელშეკრულება გაეგრძელებინა ძველ მასწავლებლებთან. ექსპერტის თქმით, ხელშეკრულებების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას არ გაუფორმებია აღნიშნულ მასწავლებლებთან ახალი ხელშეკრულებები.

გარდა ამისა, ექსპერტმა, დავით ლიპარტელიანმა ისაუბრა იმ საჭიროებებზე, რომლის წინაშეც სკოლა იდგა. კერძოდ, მატერიალური რესურსის ქვესტანდარტთან სკოლის შეუსაბამობაზე. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ სკოლას შემუშავებული ჰქონდა წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები, თუმცა აღნიშნული დოკუმენტი არ იყო შეთანხმებული განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. შესაბამისად, ექსპერტის თქმით, მათი რეკომენდაცია იყო, რომ სკოლას შეეთანხმებინა აღნიშნული წესი სამინისტროსთან ან ეხელმძღვანელა სამინისტროს უკვე დამტკიცებული წესით.

ექსპერტმა, დავით ლიპარტელიანმა ისაუბრა სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო მოსწავლის სტატუსის შეჩერების საკითხზეც, რადგან სკოლამ გასული სემესტრის დასრულების შემდეგ რამდენიმე მოსწავლეს შეუჩერა სტატუსი. ექსპერტის განმანტებით, სკოლას უნდა შეემუშავებინა მოსწავლის სტატუსის შეჩერების მექანიზმები და ფორმები, მათ შორის აღნიშნული მიმართულებით მშობლის ინფორმირების წესი.

ექსპერტმა, იზაბელა იოსელიანმა ყურადღება გაამახვილა სკოლის სამოქალაქო განათლების კლუბზე, რომელიც მიუხედავად დისტანციური სწავლისა, აქტიურად მუშაობდა. მან, ასევე, აღნიშნა, რომ სკოლა ჩართული იყო მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში და აქტიურად მუშაობდნენ კომპლექსურ დავალებებზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ ექსპერტებს მიმართა კითხვით, მოსწავლის სტატუსის შეჩერება მოხდა თუ არა არდადეგების პერიოდში. ასევე, ამ საკითხთან დაკავშირებით თუ ჰქონდათ ექსპერტებს კომუნიკაცია აღნიშნული მოსწავლეების მშობლებთან, რამდენად იყვნენ ისინი ინფორმირებულები. რაზეც ექსპერტმა, დავით ლიაპარტელიანმა უპასუხა, რომ მოსწავლეების სტატუსის შეჩერება მოხდა ნამდვილად არდადეგების პერიოდში, თუმცა აქ საყურადღებო იყო მოსწავლის მშობლის ინფორმირების წესი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა სკოლის წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

სკოლის მონიტორინგის უფროსმა, მელორ მშვიდობაძემ განმარტა, რომ სკოლას ჩატარებული ჰქონდა კვლევა, რომლის მეშვეობითაც დადგინდა მშობელთა სოციალური მდგომარეობა გადახდისუნარიანობის კუთხით. შესაბამისად, პრობლემის მქონე მოსწავლეების მშობლებთან გაგზავნილი იყო სკოლის მხრიდან გაფრთხილებისა და ინფორმირების შინაარსის მქონე წერილები.

სკოლის იურისტმა, ნინო დოლიძემ განმარტა, რომ მოსწავლეთა მშობლებთან აღნიშნული წერილები გაგზავნილი იყო ნოემბრის თვეში. ასევე, მან დაამატა, რომ ყოველთვიურად მოკლე ტეექსტური შეტყობინებები ეგზავნებოდათ მოსწავლეთა მშობლებსა და კანონიერ წარმომადგენლებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს, თუ რა პრინციპით მოხდა მე-8 კლასში მოქალაქეობის საგანში შემაჯამებელი დავალებების

რაოდენობის განსაზღვრა. მან აქვე განმარტა, რომ აღნიშნულ კლასში საათობრივი დატვირთვა საგანში იყო ერთი საათი, შესაბამისად გამოთქვა ვარაუდი, რომ შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა აღემატებოდა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ რაოდენობას.
სკოლის კონსულტანტმა, ნელი ნასყიდაშვილმა განმარტა, რომ სკოლას შემუშავებული ჰქონდა საგნების მიხედვით თემატური გეგმები, კომპლექსური დავალებები და შეფასების სქემები. მან აღნიშნა, რომ ყველა საგანში მოცემული თემების რაოდენობის მიხედვით განისაზღვრა შემაჯამებელი (კომპლექსური) დავალებების რაოდენობა. ნელი ნასყიდაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლაში კომპლექსური დავალებების შეტანა განხორციელდა ეტაპობრივად. მან დაამატა, რომ აღნიშნული პროცესი მთლიანად იყო მორგებული სკოლის მასწავლებლებზე, მათ ინტერესებსა და შესაძლებლობებზე.
ექსპერტმა, დავით ლიპარტელიანმა დაამატა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ექსპერტების მხრიდან არ დაფიქსირებულა ხარვეზი, რადგან, მისი თქმით, სკოლა ეტაპობრივად ერთვებოდა ახალი სკოლის მოდელში და, შესაბამისად, მუშაობის პროცესში წარმოიქმნებოდა ხარვეზები, რაც ბუნებრივი იყო.
საბჭოს წევრმა, ია გიგიბერიამ სკოლას მიმართა კითხვით, რამდენად უზრუნველყოფდა სკოლაში მოსწავლეთა უსაფრთხოების საკითხს. კერძოდ, რა მექანიზმები ჰქონდა სკოლას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტის ქვესტანდარტის დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის უსაფრთხოების კამერებს. რაზეც სკოლის მონიტორინგის სამსახურის უფროსმა, მელორ მშვიდობაძემ უპასუხა, რომ სკოლას ექსპერტების რჩევის საფუძველზე უკვე შეძენილი ჰქონდა შვიდი ახალი კამერა, რაც დასტურდებოდა ფოტო მასალით. მან, ასევე, დაამატა, რომ სკოლას ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული დაცვის პოლიციასთან. მელორ მშვიდობაძემ, აქვე განმარტა, რომ წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმების ამსახველი დოკუმენტაცია უკვე შემუშავებული ჰქონდა სკოლას და გადაგზავნილი იყო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შესათანხმებლად.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს სკოლის სახელწოდებასთან დაკავშირებით, თუ ჰქონდა რაიმე კავშირი სახელწოდებას სასწავლო პროგრამებთან. სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ სკოლას კავშირი ჰქონდა შპს კავკასიის უნივერსიტეტთან და მისი ნებართვით ჰქონდა მასთან ასოცირებული სახელწოდება.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 320 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც. საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის შპს კავკასიის ბიზნესის სკოლის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაკმაყოფილებულია ავტორიზაციის სტანდარტები. შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის ბიზნესის სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 320 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს კავკასიის ბიზნესის სკოლას(445386546) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 320 - ით.
საბჭოს გადაწყვეტილებით დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, რომ წარმოედგინათ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმების ამსახველი დოკუმენტაცია. ამასთან, საბჭო მოკლებული იყო შესაძლებლობას აღნიშნულ რეკომენდაციასთან მიმართებით განესაზღვრა დაწესებულებისათვის კონკრეტული ვადა, რადგანაც სკოლა დამოკიდებული იყო სამინისტროს უკუკავშირზე. თუმცაღა, სკოლა ვალდებული იყო ცენტრში წარმოედგინა სამინისტროს პასუხი მისი მიღებისთანავე.

4. შპს ყოვლადწმიდა სამების სახელობის ქართულ აკადემიაში განხორციელებული მონიტორინ გის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, მაგდა ბარამიძემ და მარინე ჯანაშვილმა. მათ აღწერეს შეფასების შედეგები და ძირითადი მიგნებები სტანდარტების შესაბამისად. ექსპერტის, მაგდა ბარამიძის განცხადებით, დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის 17 ნოემბრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სხდომის ოქმში ასახული გარემოებების გამოკვლევის მიზნით. ექსპერტის თქმით, მონიტორინგის დროს დაწესებულების შეფასება მოხდა ავტორიზაციის ორი ორი სტანდარტის კომპონენტების მიხედვით, კერძოდ, შემოწმდა საგანმანათლებლო პროგრამები (1.6. ქვესტანდარტი) და ადამიანური რესურსი (3.1; 3.2; 3.4; 3.5 ქვესტანდარტები). ექსპერტმა, მაგდა ბარამიძემ ისაუბრა ხარვეზებზე, რომელთა გამოსწორების შეფასებაც იყო მათი ვალდებულება. კერძოდ, სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმებზე, რომელიც, ექსპერტის თქმით, სკოლას შემუშავებული ჰქონდა და, შესაბამისად, აღნიშნული ხარვეზი დაწესებულებას გამოსწორებული ჰქონდა.
ექსპერტმა, მაგდა ბარამიძემ, აგრეთვე ისაუბრა დაწესებულების ადამიანურ რესურსთან დაკავშირებითაც. მისი თქმით, დაწესებულებას წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით გამოსწორებული ჰქონდა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში და საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული შენიშვნები. ექსპერტების მიერ შემოწმდა სკოლის მიერ წარმოდგენილი მასწავლებელთა პირადი საქმეები.
დაწესებულების მასწავლებელთა კვალიფიკაციის შესახებ, მაგდა ბარამაძემ აღნიშნა, რომ ერთი მასწავლებელი ასწავლიდა რამდენიმე საგანს და ამ გადაწყვეტილებას იღებდა დირექტორი ინდივიდუალური აქტით, ბრძანებით. თუმცა, მან განმარტა, რომ აღნიშნულ ხარვეზზე იმუშავა

სკოლამ და გამოასწორა. კერძოდ, აიყვანა ახალი კადრები კანონის სრული დაცვით, ხოლო სკოლაში არსებულ მასწავლებლებთან გააფორმა ახალი ხელშეკრულებები, სადაც გაწერილი იყო სწავლების საათების რაოდენობები. ექსპერტმა დასძინა, რომ მასწავლებელთა სტატუსები შეთანხმებული იყო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, რაც დასტურდებოდა წარმოდგენილი დოკუმენტაციით. რაც შეეხებოდა ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმებს, ექსპერტმა აღნიშნა, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა სკოლის დირექტორის 2022 წლის 13 იანვრის ბრძანება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები ექსპერტებთან.

საბჭოს წევრი, პეტრე ბაბილუა დაინტერესდა, თუ როგორ მიმდინარეობდა აღნიშნული ხარვეზების ფონზე სასწავლო პროცესი და ჰქონდა თუ არა მას რაიმე გავლენა სასწავლო პროცესზე.

ექსპერტ, მაგდა ბარამიძის განცხადებით, რომ მათი შეფასება შემოიფარგლებოდა მხოლოდ, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით, შესაბამისად, აღნიშნული საკითხი ვერ შეფასდებოდა, რადგან ექსპერტებს არ ჰქონდათ დაწესებულების წარმომადგენლებთან შეხვედრა და ინტერვიუირება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ცენტრის წარმომადგენელმა, თამარ შენგელიამ განმარტა, რომ არაგეგმიური მონიტორინგი დაწესებულებაში განხორციელდა გასულ წელს. საბჭოს ზეპირ განხილვაზე გამოვლენილი გარემოებებისა და ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებების საფუძველზე გამოიკვეთა დაწესებულების ფუნქციონირების რიგი ხარვეზები და საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ხარვეზების აღმოფხვრისთვის სკოლას განესაზღვროს 2 კვირის ვადა, გამოსწორების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ცენტრში წარმოსადგენად. ამასთან, საბჭომ ცენტრს მიმართა შუამდგომლობით, რომ შპს ყოვლადწმინდა სამების სახელობის ქართულ აკადემიაში განხორციელებულიყო მონიტორინგი და დაწესებულება შეფასებულიყო სამივე სტანდარტის მიხედვით. აღნიშნულის შესაბამისად, დღევანდელ სხდომაზე განიხილებოდა სტანდარტების კონკრეტულ კომპონენტებთან მიმართებით დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორების გარემოებები და ასევე, იგეგმებოდა დაწესებულების მონიტორინგის შეფასება სამივე სტანდარტის მიხედვით, ადგილზე ვიზიტის გამოყენებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა სკოლის წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

სკოლის სასწავლო ნაწილის უფროსმა, მაია გიგაურმა განმარტა, რომ თავად ის სერტიფიცირებული იყო გეოგრაფიის საგანში, ხოლო დიპლომით მინიჭებული ჰქონდა გეოგრაფია-ბიოლოგიის მასწავლებლის სტატუსი. შესაბამისად, მისი განმარტებით, მას ჰქონდა უფლება ესწავლებინა ორივე საგანი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები, ხომ არ ჰქონდათ. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ყოვლადწმიდა სამების სახელობის ქართულ აკადემიაშიავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ყოვლადწმიდა სამების სახელობის ქართული აკადემიის (ს/კ.: 202065068) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 17:30 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა